# საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის
# ადმინისტრაციული კომიტეტი

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 1

ქ. თბილისი „18“ „იანვარი“ 2019 წ.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის 23-ე, 25-ე და 26-ე მუხლების შესაბამისად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი

**ა დ გ ე ნ ს:**

საქართველოს მოსამართლეთა XXV რიგგარეშე კონფერენციისა და ადმინისტრაციული კომიტეტის სამდივნო განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით:

1. გულიკო ორთოიძე;
2. თამთა მეშველაშვილი;
3. მარიამ ცქიფურიშვილი;
4. ლელა ჭანია;
5. გიორგი ჯანაშია;
6. ზვიად ძაბირაძე;
7. ბექან თურმანიძე;
8. თორნიკე ქოჩქიანი;
9. სალომე მემარნიშვილი;
10. თეონა ეპიტაშვილი;
11. ქრისტინე კოპალიანი;
12. ეკატერინე ელიაძე;
13. ვალენტინა კიკნაძე;
14. ნინო გალუსტაშვილი.

ირაკლი კოპალიანი

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის
ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარე

# საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №2

ქ. თბილისი „18“ „იანვარი“ 2019 წ.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-8 და 23-ე მუხლებისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დებულების მე-4 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი

ა დ გ ე ნ ს:

1. მოწვეულ იქნეს საქართველოს მოსამართლეთა XXV რიგგარეშე კონფერენცია 2019 წლის 26 იანვარს;

2. საქართველოს მოსამართლეთა XXV რიგგარეშე კონფერენციის ჩატარების ადგილად განისაზღვროს იუსტიციის უმაღლესი სკოლა (ქ. თბილისი, ნოდარ ბოხუას ქ. №19);

3. დამტკიცდეს მოსამართლეთა XXV რიგგარეშე კონფერენციის დღის წესრიგი თანდართული სახით *(იხ. დანართი №1);*

4. სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, უფლებამოსილების ფარგლებში დაევალოს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციისა და ადმინისტრაციული კომიტეტის საქმიანობის ორგანიზაციული-ტექნიკური და ფინანსური დახმარების უზრუნველყოფა.

5. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

ირაკლი კოპალიანი

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის
ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარე

საქართველოს მოსამართლეთა XXV რიგგარეშე კონფერენცია

26 იანვარი, 2019 წელი

იუსტიციის უმაღლესი სკოლა

(მის: ქ. თბილისი, ნოდარ ბოხუას ქ. №19)

2019 წელი

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

11:00 - 12:00 სთ. - მოსამართლეთა რეგისტრაცია

მოსამართლეთა კონფერენცია უფლებამოსილია განიხილოს საკითხი და მიიღოს გადაწყვეტილება თუ მის სხდომას ესწრება საერთო სასამართლოების მოსამართლეთა ნახევარზე მეტი.

1. 12:00 - 14:00 სთ.

სასამართლოსა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ირგვლივ განვითარებული მოვლენების განხილვა.

14:00 სთ.- სადილი.

## საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი

ქ. თბილისი „ 8 “ „ ივლისი “ 2019 წ.

### დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 3

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი ამავე რეგლამენტის მე-19 და 23-ე მუხლების შესაბამისად,

ა დ გ ე ნ ს:

1. ნიკოლოზ მარგველაშვილს შეუწყდეს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრის უფლებამოსილება, ადმინისტრაციული კომიტეტის წევრის სამწლიანი ვადის გასვლის გამო.

2. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის 9 ივლისიდან.

ირაკლი კოპალიანი

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის
ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარე

# საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის
# ადმინისტრაციული კომიტეტი

ქ. თბილისი „ 8 “ „ ივლისი “ 2019 წ.

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 4

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი ამავე რეგლამენტის მე-19 და 23-ე მუხლების შესაბამისად,

ა დ გ ე ნ ს:

1. ამირან ძაბუნიძეს შეუწყდეს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრის უფლებამოსილება, ადმინისტრაციული კომიტეტის წევრის სამწლიანი ვადის გასვლის გამო.

2. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის 9 ივლისიდან.

ირაკლი კოპალიანი

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის
ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარე

# საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის
# ადმინისტრაციული კომიტეტი

ქ. თბილისი „8“ „ივლისი“ 2019 წ.

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 5

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი ამავე რეგლამენტის მე-19 და 23-ე მუხლების შესაბამისად,

ა დ გ ე ნ ს:

1. ირაკლი კოპალიანს შეუწყდეს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრის (თავმჯდომარის) უფლებამოსილება, ადმინისტრაციული კომიტეტის წევრის სამწლიანი ვადის გასვლის გამო.

2. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის 9 ივლისიდან.

ირაკლი კოპალიანი

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის
ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარე

# საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №6

ქ. თბილისი „25“ „სექტემბერი“ 2019 წ.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-9, 22-ე და 23-ე მუხლების საფუძველზე, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციულმა კომიტეტმა, ხმათა უმრავლესობით

## დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადის შეწყვეტის გამო, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის 2019 წლის 25 სექტემბრის სხდომის თავმჯდომარეობის (სხდომის წარმართვის) საგანგებო უფლებამოსილება მიენიჭოს ადმინისტრაციული კომიტეტის წევრს თეა ძიმისტარაშვილს, რომელიც გაუძღვება მოსამართლეთა XXVI რიგგარეშე კონფერენციის სხდომას.

2. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

თეა ძიმისტარაშვილი

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის
ადმინისტრაციული კომიტეტის
საგანგებოდ უფლებამოსილი წევრი

# საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 7

ქ. თბილისი „25“ „ნოემბერი“ 2019 წ.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის 23-ე, 25-ე და 26-ე მუხლების შესაბამისად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციულმა კომიტეტმა, ერთხმად

დ ა ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს მოსამართლეთა XXVI რიგგარეშე კონფერენციისა და ადმინისტრაციული კომიტეტის სამდივნო განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით:

1. გულიკო ორთოიძე;
2. თამთა მეშველაშვილი;
3. მარიამ ცქიფურიშვილი;
4. ლელა ჭანია;
5. გიორგი ჯანაშია;
6. ზვიად ძაბირაძე;
7. ბექან თურმანიძე;
8. თორნიკე ქოჩქიანი;
9. სალომე მემარნიშვილი;
10. თეონა ეპიტაშვილი;
11. ქრისტინე კოპალიანი;
12. ეკატერინე ელიაძე;
13. ვალენტინა კიკნაძე;
14. ნინო გალუსტაშვილი.

თეა ძიმისტარაშვილი

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის
ადმინისტრაციული კომიტეტის
საგანგებოდ უფლებამოსილი წევრი

# საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 8

ქ. თბილისი „25“ „სექტემბერი“ 2019 წ.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 64-ე მუხლისა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-14 და 23-ე მუხლების შესაბამისად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციულმა კომიტეტმა, ერთხმად

**დ ა ა დ გ ინა:**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ წარმოდგენილი პროექტი „მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ (დანართი №1) მიღებულ იქნეს ცნობად და დასამტკიცებლად გადაეგზავნოს საქართველოს მოსამართლეთა XXVI რიგგარეშე კონფერენციას.

თეა ძიმისტარაშვილი

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის
ადმინისტრაციული კომიტეტის
საგანგებოდ უფლებამოსილი წევრი

დანართი №1

პროექტი

# „საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“

I. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-6 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ისმენს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორისა და საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის ყოველწლიურ ანგარიშებს ამ ორგანოთა მუშაობის შესახებ;“;

ბ) პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ¹“ ქვეპუნქტი:

„გ¹) ისმენს სადისციპლინო კოლეგიის საქმიანობისა და განხილული დისციპლინური საქმეების შესახებ სტატისტიკურ ინფორმაციას;“;

გ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს 4 წლის ვადით ირჩევს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია მის მიერ არჩეულ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთაგან. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს არ შეიძლება იმავდროულად ეკავოს სასამართლოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილის ან მოადგილის, სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობა.“;

დ) მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 5¹ პუნქტი:

„5¹. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეული იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი არ შეიძლება იყოს თანამდებობაზე 3 წლის ვადით გამწესებული მოსამართლე (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მას აქვს მოსამართლედ მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება), უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის ან საკვალიფიკაციო პალატის წევრი. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეულ წევრთა ნახევარზე მეტი არ შეიძლება იყოს სასამართლოს თავმჯდომარე, მისი პირველი მოადგილე ან მოადგილე ან სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარე.“;

ე) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. სადისციპლინო კოლეგიის წევრი არ შეიძლება იყოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, მისი პირველი მოადგილე ან მოადგილე, სასამართლოს თავმჯდომარე, მისი პირველი მოადგილე ან მოადგილე, კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარე, ან პირი, რომელსაც ბოლო 1 წლის განმავლობაში ეკავა რომელიმე ასეთი თანამდებობა, აგრეთვე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი და ის მოსამართლე, რომელსაც ბოლო 5 წლის განმავლობაში დისციპლინური გადაცდომის ჩადენისათვის დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი.“;

ვ) მე-11 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-12 პუნქტი:

„12. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“–„ზ“ ქვეპუნქტებში და 75¹⁹ მუხლის მე-6 პუნქტის „ა“-„ვ“ ქვეპუნქტებში მითითებული რომელიმე გარემოების არსებობისას საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია ასეთი გარემოების არსებობის შესახებ ინფორმაციას იღებს ცნობად, გადაწყვეტილების მიღების გარეშე, რაც ფორმდება დადგენილების სახით. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს

ორგანული კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“–„ლ“ ქვეპუნქტებში და 75[19] მუხლის მე-6 პუნქტის „ზ“-„კ“ ქვეპუნქტებში მითითებული რომელიმე გარემოების არსებობისას მოსამართლეთა კონფერენცია კენჭს უყრის გადაწყვეტილებას, შესაბამისად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრისა და სადისციპლინო კოლეგიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.“.

2. მე-7 მუხლის:

ა) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. კონფერენციის სახელით, კონფერენციის მიმართვებსა და დადგენილებებს ხელს აწერს კონფერენციის სხდომის თავმჯდომარე.“;

ბ) მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 და მე-5 პუნქტები:

„4. კონფერენციის გადაწყვეტილების რეკვიზიტებია:
ა) გადაწყვეტილების სათაური;
ბ) გადაწყვეტილების მიღების თარიღი და ადგილი;
გ) სარეგისტრაციო ნომერი;
დ) უფლებამოსილი თანამდებობის პირის გვარი, სახელი და ხელმოწერა.

5. კონფერენციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია გადაეგზავნოს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს და იმ პირებს, ვისაც ეს გადაწყვეტილება პერსონალურად ეხება.“.

3. მე-8 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის (რიგგარეშე კონფერენციის) სხდომის დღის წესრიგს ამტკიცებს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი.“.

4. მე-19 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 19.**

1. მე-18 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, ადმინისტრაციული კომიტეტის წევრის (თავმჯდომარის) უფლებამოსილების შეწყვეტის ან შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ადმინისტრაციული კომიტეტის მიერ.

2. ადმინისტრაციული კომიტეტის წევრობის საკუთარი სურვილით შეწყვეტის შემთხვევაში, წერილობითი განცხადება წარედგინება ადმინისტრაციულ კომიტეტს.

3. კომიტეტის წევრს უფლებამოსილება უწყდება ადმინისტრაციული კომიტეტის მიერ გადაწყვეტილების მიღების დღიდან.“.

5. 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2[1] პუნქტი:

„2[1]. საგანგებოდ უფლებამოსილი ადმინისტრაციული კომიტეტის ერთ-ერთი წევრის არჩევამდე ადმინისტრაციული კომიტეტის სხდომას უძღვება ადმინისტრაციული კომიტეტის უხუცესი წევრი.“.

6. 23-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:

„6. ადმინისტრაციული კომიტეტის გადაწყვეტილების რეკვიზიტებია:
ა) გადაწყვეტილების სათაური;
ბ) გადაწყვეტილების მიღების თარიღი და ადგილი;
გ) სარეგისტრაციო ნომერი;
დ) უფლებამოსილი თანამდებობის პირის გვარი, სახელი და ხელმოწერა.“.

7. 25-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 და მე-4 პუნქტები:

„3. სამდივნო თავის საქმიანობას ახორციელებს ამ რეგლამენტის შესაბამისად.

4. ადმინისტრაციული კომიტეტი სამდივნოს შემადგენლობიდან განსაზღვრავს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს.“.

8. 26-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 26.

1. სამდივნო:

ა) ამზადებს კონფერენციისა და ადმინისტრაციული კომიტეტის სხდომებს, ახორციელებს კონფერენციისა და ადმინისტრაციული კომიტეტის საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივ უზრუნველყოფას, ასრულებს ხმის დამთვლელი კომისიის დავალებებს;

ბ) ადმინისტრაციულ კომიტეტთან შეთანხმებით წყვეტს სხდომათა მოწვევასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ, მატერიალურ-ტექნიკურ, საფინანსო და სხვა საკითხებს;

გ) აქვეყნებს მოსამართლეთა კონფერენციის სხდომის დღის წესრიგს უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებგვერდზე;

დ) ასრულებს კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის ცალკეულ დავალებებს, ორგანიზაციას უწევს სამეცნიერო-კვლევით, საინფორმაციო-საცნობარო და სხვა მასალების მომზადებას;

ე) ამზადებს და სხდომათა შორის პერიოდში მოსამართლეებს, ადმინისტრაციული კომიტეტის წევრებს აწვდის აუცილებელ საინფორმაციო მასალებს;

ვ) უზრუნველყოფს კონფერენციისა და ადმინისტრაციული კომიტეტის საქმისწარმოებას - გადაწყვეტილებების პროექტების მომზადებას, სხდომათა ოქმების წარმოებას, დოკუმენტების აღრიცხვას, დანიშნულებისამებრ გადაცემას, შემოსულ კორესპონდენციაზე პასუხების მომზადებას, შენახვას და სხვა;

ზ) უზრუნველყოფს კონფერენციისა და ადმინისტრაციული კომიტეტის გადაწყვეტილებების მოსამართლეთათვის გაცნობას უზენაესი სასამართლოს ვებგვერდის საშუალებით.

2. სამდივნო თავის საქმიანობაში იყენებს შტამპს წარწერით:

| |
|---|
| საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის<br>ადმინისტრაციული კომიტეტი |
| № ---------- ფურცლების რაოდენობა ------------<br>------------------ -------------------- ------------ |
| თარიღი ხელმოწერა დრო |

3. სამდივნო თავის საქმიანობაში იყენებს მრგვალ ბეჭედს წარწერით წრეზე „საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი“, ხოლო შუაში - „გზავნილებისთვის“.“.

9. რეგლამენტს დაემატოს შემდეგი შინაარსის $V^3$ თავი:

**„თავი $V^3$. მოსამართლეთა კონფერენციისა და ადმინისტრაციული კომიტეტის მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფა**

**მუხლი $26^6$.** მოსამართლეთა კონფერენციისა და ადმინისტრაციული კომიტეტის საქმიანობის მატერიალურ და ფინანსურ უზრუნველყოფას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საერთო სასამართლოების დეპარტამენტი.“.

II. ეს ცვლილება ამოქმედდეს დამტკიცებისთანავე.

# საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №9

ქ. თბილისი „25“ „სექტემბერი“ 2019 წ.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-8 და 23-ე მუხლებისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დებულების მე-4 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციულმა კომიტეტმა, ერთხმად

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მოწვეულ იქნეს საქართველოს მოსამართლეთა XXVI რიგგარეშე კონფერენცია 2019 წლის 5 ოქტომბერს (რეგისტრაცია 10:00 საათზე, კონფერენციის გახსნა 11:00 საათზე);

2. საქართველოს მოსამართლეთა XXVI რიგგარეშე კონფერენციის ჩატარების ადგილად განისაზღვროს იუსტიციის უმაღლესი სკოლა (ქ. თბილისი, ნოდარ ბოხუას ქ. №19);

3. დამტკიცდეს მოსამართლეთა XXVI რიგგარეშე კონფერენციის დღის წესრიგი თანდართული სახით *(იხ. დანართი №2);*

4. სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, უფლებამოსილების ფარგლებში დაევალოს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციისა და ადმინისტრაციული კომიტეტის საქმიანობის ორგანიზაციული-ტექნიკური და ფინანსური დახმარების უზრუნველყოფა.

5. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

თეა ძიმისტარაშვილი

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის
ადმინისტრაციული კომიტეტის
საგანგებოდ უფლებამოსილი წევრი

დანართი №2

# საქართველოს მოსამართლეთა XXVI რიგგარეშე კონფერენცია

5 ოქტომბერი, 2019 წელი

იუსტიციის უმაღლესი სკოლა

(მის: ქ. თბილისი, ნოდარ ბოხუას ქ. №19)

2019 წელი

## დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი

10:00 - 11:00 სთ. - მოსამართლეთა რეგისტრაცია

1. 11:00 - 11:20 სთ.

**„მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ პროექტის დამტკიცება** - *(გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით).*

2. 11:20 - 11:40 სთ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის - გიორგი მიქაუტაძის ყოველწლიური ანგარიში.

3. 11:40 - 12:00 სთ.

საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის - შოთა ქარჩავას ყოველწლიური ანგარიში.

4. 12:00 - 12:40 სთ.

დამოუკიდებელი ინსპექტორის - ქეთევან ცინცაძის ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ.

**5. 12:40 - 12:45 სთ.**

სადისციპლინო კოლეგიის საქმიანობისა და განხილული დისციპლინური საქმეების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის გაცნობა მოსამართლეთა კონფერენციისათვის;

**6. 12:45 - 12:50 სთ.**

**მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრობის კანდიდატების დასახელება**. - *(კონფერენციის მიერ ასარჩევია ადმინისტრაციული კომიტეტის 3 (სამი) წევრი. კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციაზე დამსწრე ნებისმიერ მოსამართლეს. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 64-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული კომიტეტის წევრი არ შეიძლება იმავდროულად იყოს სასამართლოს თავმჯდომარე, მისი პირველი მოადგილე ან მოადგილე, კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარე.)*

მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული კომიტეტის სამ წევრს (ირაკლი კოპალიანი, ამირან ძაბუნიძე, ნიკოლოზ მარგველაშვილი) 2019 წლის 9 ივლისს შეუწყდა ადმინისტრაციული კომიტეტის წევრის უფლებამოსილება, სამწლიანი ვადის გასვლის გამო.

**7. 12:50 - 12:55 სთ.**

**საქართველოს საერთო სასამართლოების სადისციპლინო კოლეგიის წევრობის კანდიდატების დასახელება.** *(კონფერენციის მიერ ასარჩევია სადისციპლინო კოლეგიის 3 (სამი) წევრი. კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციაზე დამსწრე ნებისმიერ მოსამართლეს. სადისციპლინო კოლეგიის წევრი არ შეიძლება იყოს: უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, მისი პირველი მოადგილე ან მოადგილე, სასამართლოს თავმჯდომარე, მისი პირველი მოადგილე ან მოადგილე, კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარე, ან პირი, რომელსაც ბოლო 1 წლის განმავლობაში ეკავა რომელიმე ასეთი თანამდებობა, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი; მოსამართლე არ შეიძლება იყოს სადისციპლინო კოლეგიის წევრი, თუ მას ბოლო 5 წლის განმავლობაში დისციპლინური გადაცდომის ჩადენისათვის დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი.)*

**8. 12:55 - 13:00 სთ.**

**ხმის დამთვლელი კომისიის არჩევა 5 მოსამართლის შემადგენლობით** *(საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.)*

9. 13:00 - 14:00 სთ.

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის 3 (სამი) წევრის არჩევა - *(არჩევნების I ტური ტარდება ფარული კენჭისყრით და კონფერენცია გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე დამსწრე წევრთა 2/3-ის უმრავლესობით)*

***14:00 - 14:30 სთ. - სადილი.***

10. 14:30 - 15:30 სთ.

საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის 3 (სამი) წევრის არჩევა - *(არჩევნების I ტური ტარდება ფარული კენჭისყრით და კონფერენცია გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე დამსწრე წევრთა 2/3-ის უმრავლესობით)*

11. 15:30 - 16:30 სთ.

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის 3 (სამი) წევრის არჩევა, *(არჩევნების II ტური (საჭიროების შემთხვევაში) - ტარდება ფარული კენჭისყრით, კანდიდატის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა არ უნდა იყოს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის სრული შემადგენლობის ხმათა 1/4-ზე ნაკლები)*

12. 16:30 - 17:30 სთ.

საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის 3 (სამი) წევრის არჩევა - I ტური - *(არჩევნების II ტური (საჭიროების შემთხვევაში) - ტარდება ფარული კენჭისყრით, კანდიდატის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა არ უნდა იყოს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის სრული შემადგენლობის ხმათა 1/4-ზე ნაკლები)*

13. 17:30 - 18:30 სთ.

ადმინისტრაციული კომიტეტის წევრებიდან ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარის არჩევა - *(არჩევნების I ტური ტარდება ფარული კენჭისყრით და კონფერენცია გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე დამსწრე წევრთა 2/3-ის უმრავლესობით)*

14. 18:30 - 19:30 სთ.

ადმინისტრაციული კომიტეტის წევრებიდან ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარის არჩევა - *(არჩევნების II ტური (საჭიროების შემთხვევაში) ტარდება ფარული კენჭისყრით, კანდიდატის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა არ უნდა იყოს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის სრული შემადგენლობის ხმათა 1/4-ზე ნაკლები)*

# საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 10

ქ. თბილისი „25“ „სექტემბერი“ 2019 წ.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის 23-ე და $26^1$ მუხლების შესაბამისად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციულმა კომიტეტმა, ერთხმად

## დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს:

ა) საარჩევნო ბიულეტენის ნიმუში (დანართი № 3-5);

ბ) ადგილზე დაბეჭდილი საარჩევნო ბიულეტენების საერთო რაოდენობის ოქმის ნიმუში (დანართი №6);

გ) დარჩენილი ბიულეტენის (ბიულეტენების) განადგურების ოქმის ნიმუში იმ შემთხვევაში, როცა მოსამართლემ (მოსამართლეებმა) არ მიიღო (მიიღეს) მონაწილეობა საარჩევნო პროცესში (დანართი №7);

დ) გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენის აღრიცხვისა და ახალი ბიულეტენის გაცემის ოქმის ნიმუში (დანართი №8);

ე) არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის ნიმუში (დანართი №9-11);

ვ) ხელახალი კენჭისყრის საარჩევნო ბიულეტენის ნიმუში (დანართი№12-14);

ზ) ადგილზე დაბეჭდილი საარჩევნო ბიულეტენების საერთო რაოდენობის ოქმის ნიმუში ხელახალი კენჭისყრის შემთხვევაში (დანართი №15);

თ) დარჩენილი ბიულეტენის (ბიულეტენების) განადგურების ოქმის ნიმუში იმ შემთხვევაში, როცა მოსამართლემ (მოსამართლეებმა) არ მიიღო (მიიღეს) მონაწილეობა საარჩევნო პროცესში ხელახალი კენჭისყრის შემთხვევაში(დანართი №16);

ი) გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენის აღრიცხვისა და ახალი ბიულეტენის გაცემის ოქმის ნიმუში ხელახალი კენჭისყრის შემთხვევაში (დანართი №17);

კ) ხელახალი არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის ნიმუში (დანართი №18-20).

2. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

თეა ძიმისტარაშვილი

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის
ადმინისტრაციული კომიტეტის
საგანგებოდ უფლებამოსილი წევრი

დანართი №3

# საარჩევნო ბიულეტენი

## საქართველოს მოსამართლეთა XXVI რიგგარეშე კონფერენცია

## 5 ოქტომბერი, 2019 წელი

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის
ადმინისტრაციული კომიტეტის 3 წევრის არჩევა

*ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა!*

შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი არაუმეტეს 3 კანდიდატის რიგითი ნომერი, წინააღმდეგ შემთხვევაში ბიულეტენი ჩაითვლება ბათილად.

1. სახელი, გვარი
2. სახელი, გვარი
3. სახელი, გვარი
4. სახელი, გვარი
5. სახელი, გვარი

რეგისტრატორის ხელმოწერა ------------------------

დანართი №4

# საარჩევნო ბიულეტენი

## საქართველოს მოსამართლეთა XXVI რიგგარეშე კონფერენცია

## 5 ოქტომბერი, 2019 წელი

### საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგის 3 (სამი) წევრის არჩევა

*ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა!*

შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი არაუმეტეს 3 (სამი) კანდიდატის რიგითი ნომერი, წინააღმდეგ შემთხვევაში ბიულეტენი ჩაითვლება ბათილად.

1. სახელი, გვარი
2. სახელი, გვარი
3. სახელი, გვარი
4. სახელი, გვარი
5. სახელი, გვარი

რეგისტრატორის ხელმოწერა -------------------------

დანართი №5

# საარჩევნო ბიულეტენი

## საქართველოს მოსამართლეთა XXVI რიგგარეშე კონფერენცია

## 5 ოქტომბერი, 2019 წელი

### საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარის არჩევა

*ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა!*

შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი 1 (ერთი) კანდიდატის რიგითი ნომერი, წინააღმდეგ შემთხვევაში ბიულეტენი ჩაითვლება ბათილად.

1. სახელი, გვარი
2. სახელი, გვარი
3. სახელი, გვარი
4. სახელი, გვარი
5. სახელი, გვარი

რეგისტრატორის ხელმოწერა ------------------------

დანართი №6

# მოსამართლეთა XXVI რიგგარეშე კონფერენცია

# ადგილზე დაბეჭდილი საარჩევნო ბიულეტენების საერთო რაოდენობის

# ოქმი №........

5 ოქტომბერი, 2019 წელი

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------- არჩევნებზე რეგისტრაცია გაიარა ----------------------------- მოსამართლემ, დაიბეჭდა ----------------------------------------------- ბიულეტენი, რაც დასტურდება ხმის დამთვლელი კომისიის წევრთა ხელმოწერით.

- ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე -------------------------
- ხმის დამთვლელი კომისიის მდივანი -------------------------
- ხმის დამთვლელი კომისიის წევრი -------------------------
- ხმის დამთვლელი კომისიის წევრი -------------------------
- ხმის დამთვლელი კომისიის წევრი -----------------------

შედგენის დრო: __საათი__ წუთი

დანართი №7

## მოსამართლეთა XXVI რიგგარეშე კონფერენცია

## დარჩენილი ბიულეტენის (ბიულეტენების) განადგურების ოქმი №......., 5 ოქტომბერი, 2019 წელი

### იმ შემთხვევაში, როცა მოსამართლემ (მოსამართლეებმა) არ მიიღო (მიიღეს) მონაწილეობა საარჩევნო პროცესში

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციაზე მოსამართლე (მოსამართლეებმა) ------------------------------------------------------------------------------------------ არ მიიღეს მონაწილეობა ----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------- არჩევნებში, შესაბამისად, დარჩენილი ----------------------------------------------- ბიულეტენი (ბიულეტენები) განადგურდა, რაც დასტურდება ხმის დამთვლელი კომისიის წევრთა ხელმოწერით.

- ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე -------------------------
- ხმის დამთვლელი კომისიის მდივანი --------------------------
- ხმის დამთვლელი კომისიის წევრი -------------------------
- ხმის დამთვლელი კომისიის წევრი -------------------------
- ხმის დამთვლელი კომისიის წევრი -----------------------

შედგენის დრო: __საათი__ წუთი

დანართი №8

# მოსამართლეთა XXVI რიგგარეშე კონფერენცია

## გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენის აღრიცხვისა და ახალი ბიულეტენის გაცემის

## ოქმი №......., 5 ოქტომბერი, 2019 წელი

საქართველოს მოსამართლეთა XXVI რიგგარეშე კონფერენციაზე მოსამართლე (გვარი, სახელი) ------------------------------------------------------------------------ გაუფუჭდა საარჩევნო ბიულეტენი, რომელიც განკუთვნილი იყო ------------------------------------ ------------------------------------------------------------------------------------------------------------------------ ------------არჩევნებისათვის, რაც ეცნობა ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარეს. გაფუჭებული ბიულეტენის ნაცვლად გაიცა ახალი ბიულეტენი. აღნიშნული დასტურდება ხმის დამთვლელი კომისიის წევრთა არანაკლებ 2/3-ისა და მოსამართლის ხელმოწერით.

- ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე --------------------------
- ხმის დამთვლელი კომისიის მდივანი --------------------------
- ხმის დამთვლელი კომისიის წევრი --------------------------
- ხმის დამთვლელი კომისიის წევრი --------------------------
- ხმის დამთვლელი კომისიის წევრი ------------------------

მოსამართლე ------------------------------------------------

შედგენის დრო: __საათი__ წუთი

დანართი №9

# საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის 3 (სამი) წევრის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი N------

2019 წელი

5 ოქტომბერი, 2019 წელი

1. დაბეჭდილი ბიულეტენების რაოდენობა ___ ___ ___
2. გაცემული ბიულეტენების რაოდენობა ___ ___ ___
3. დარჩენილი/გამოუყენებელი ბიულეტენების რაოდენობა ___ ___ ___
4. საარჩევნო ყუთში არსებული ბიულეტენების რაოდენობა ___ ___ ___
5. ბათილი ბიულეტენების რაოდენობა ___ ___ ___
6. ნამდვილი ბიულეტენების რაოდენობა ___ ___ ___

| ხმათა რაოდენობა |
|---|

1. გვარი, სახელი ___ ___ ___
2. გვარი, სახელი ___ ___ ___
3. გვარი, სახელი ___ ___ ___
4. გვარი, სახელი ___ ___ ___
5. გვარი, სახელი ___ ___ ___

- ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე --------------------------
- ხმის დამთვლელი კომისიის მდივანი ---------------------------
- ხმის დამთვლელი კომისიის წევრი --------------------------
- ხმის დამთვლელი კომისიის წევრი -------------------------
- ხმის დამთვლელი კომისიის წევრი ------------------------

შედგენის დრო: __საათი__ წუთი

დანართი №10

# საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი N---

5 ოქტომბერი, 2019 წელი

1. დაბეჭდილი ბიულეტენების რაოდენობა ___ ___ ___
2. გაცემული ბიულეტენების რაოდენობა ___ ___ ___
3. დარჩენილი/გამოუყენებელი ბიულეტენების რაოდენობა ___ ___ ___
4. საარჩევნო ყუთში არსებული ბიულეტენების რაოდენობა ___ ___ ___
5. ბათილი ბიულეტენების რაოდენობა ___ ___ ___
6. ნამდვილი ბიულეტენების რაოდენობა ___ ___ ___

## ხმათა რაოდენობა

1. გვარი, სახელი ___ ___ ___
2. გვარი, სახელი ___ ___ ___
3. გვარი, სახელი ___ ___ ___
4. გვარი, სახელი ___ ___ ___
5. გვარი, სახელი ___ ___ ___

- ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე -------------------------
- ხმის დამთვლელი კომისიის მდივანი --------------------------
- ხმის დამთვლელი კომისიის წევრი -------------------------
- ხმის დამთვლელი კომისიის წევრი -------------------------
- ხმის დამთვლელი კომისიის წევრი -----------------------

შედგენის დრო: __საათი__ წუთი

დანართი №11

# საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის 3 წევრის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი N---

5 ოქტომბერი, 2019 წელი

1. დაბეჭდილი ბიულეტენების რაოდენობა ⎵ ⎵ ⎵
2. გაცემული ბიულეტენების რაოდენობა ⎵ ⎵ ⎵
3. დარჩენილი/გამოუყენებელი ბიულეტენების რაოდენობა ⎵ ⎵ ⎵
4. საარჩევნო ყუთში არსებული ბიულეტენების რაოდენობა ⎵ ⎵ ⎵
5. ბათილი ბიულეტენების რაოდენობა ⎵ ⎵ ⎵
6. ნამდვილი ბიულეტენების რაოდენობა ⎵ ⎵ ⎵

## ხმათა რაოდენობა

1. გვარი, სახელი ⎵ ⎵ ⎵
2. გვარი, სახელი ⎵ ⎵ ⎵
3. გვარი, სახელი ⎵ ⎵ ⎵
4. გვარი, სახელი ⎵ ⎵ ⎵
5. გვარი, სახელი ⎵ ⎵ ⎵

- ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე --------------------------
- ხმის დამთვლელი კომისიის მდივანი ---------------------------
- ხმის დამთვლელი კომისიის წევრი --------------------------
- ხმის დამთვლელი კომისიის წევრი --------------------------
- ხმის დამთვლელი კომისიის წევრი ------------------------

შედგენის დრო: __საათი__ წუთი

დანართი №12

# ხელახალი კენჭისყრა

## საარჩევნო ბიულეტენი

## საქართველოს მოსამართლეთა XXVI რიგგარეშე კონფერენცია

## 5 ოქტომბერი, 2019 წელი

### საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარის არჩევა

*ყურადღება!*

შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი 1 (ერთი) კანდიდატის რიგითი ნომერი, წინააღმდეგ შემთხვევაში ბიულეტენი ჩაითვლება ბათილად.

1. სახელი, გვარი
2. სახელი, გვარი
3. სახელი, გვარი
4. სახელი, გვარი
5. სახელი, გვარი

რეგისტრატორის ხელმოწერა ------------------------

დანართი №13

# ხელახალი კენჭისყრა

## საარჩევნო ბიულეტენი

## საქართველოს მოსამართლეთა XXVI რიგგარეშე კონფერენცია

## 5 ოქტომბერი, 2019 წელი

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის ---- წევრის არჩევა

*ყურადღება!*

შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი არაუმეტეს ---- კანდიდატის რიგითი ნომერი, წინააღმდეგ შემთხვევაში ბიულეტენი ჩაითვლება ბათილად.

1. სახელი, გვარი
2. სახელი, გვარი
3. სახელი, გვარი
4. სახელი, გვარი
5. სახელი, გვარი

რეგისტრატორის ხელმოწერა -----------------------

2019 წელი

დანართი №14

**ხელახალი კენჭისყრა**

# საარჩევნო ბიულეტენი

## საქართველოს მოსამართლეთა XXVI რიგგარეშე კონფერენცია

## 5 ოქტომბერი, 2019 წელი

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგის ---- (-----) წევრის არჩევა

*ყურადღება!*

შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი არაუმეტეს ---- (-----) კანდიდატის რიგითი ნომერი, წინააღმდეგ შემთხვევაში ბიულეტენი ჩაითვლება ბათილად.

1. სახელი, გვარი
2. სახელი, გვარი
3. სახელი, გვარი
4. სახელი, გვარი
5. სახელი, გვარი

რეგისტრატორის ხელმოწერა -----------------------

დანართი №15

<u>ხელახალი კენჭისყრა</u>

**მოსამართლეთა XXVI რიგგარეშე კონფერენცია**

**ადგილზე დაბეჭდილი საარჩევნო ბიულეტენების**

**საერთო რაოდენობის**

## ოქმი №........

5 ოქტომბერი, 2019 წელი

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ------------------------------- ------------------------------------------------------------------------------------------- ---------------------------------------------- არჩევნებზე რეგისტრაცია გაიარა ------------------------------- მოსამართლემ, დაიბეჭდა ------------------------ ------------------------------- ბიულეტენი, რაც დასტურდება ხმის დამთვლელი კომისიის წევრთა ხელმოწერით.

- ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე -------------------------
- ხმის დამთვლელი კომისიის მდივანი --------------------------
- ხმის დამთვლელი კომისიის წევრი -------------------------
- ხმის დამთვლელი კომისიის წევრი -------------------------
- ხმის დამთვლელი კომისიის წევრი -----------------------

**შედგენის დრო: __საათი__ წუთი**

დანართი №16

**ხელახალი კენჭისყრა**

**მოსამართლეთა XXVI რიგგარეშე კონფერენცია**

**დარჩენილი ბიულეტენის (ბიულეტენების) განადგურების**
**ოქმი №.......,** 5 ოქტომბერი, 2019 წელი

**იმ შემთხვევაში, როცა მოსამართლემ (მოსამართლეებმა) არ მიიღო (მიიღეს) მონაწილეობა საარჩევნო პროცესში**

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციაზე მოსამართლე (მოსამართლეებმა) ------------------------------------------------------------------------------ ----------- არ მიიღეს მონაწილეობა ------------------------------------------- ------------------------------------------------------------------------------------------ ------------------------- არჩევნებში, შესაბამისად, დარჩენილი -------------- ---------------------------------- ბიულეტენი (ბიულეტენები) განადგურდა, რაც დასტურდება ხმის დამთვლელი კომისიის წევრთა ხელმოწერით.

- ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე -------------------------
- ხმის დამთვლელი კომისიის მდივანი -------------------------
- ხმის დამთვლელი კომისიის წევრი -------------------------
- ხმის დამთვლელი კომისიის წევრი -------------------------
- ხმის დამთვლელი კომისიის წევრი -----------------------

შედგენის დრო: __საათი__ წუთი

დანართი №17

# ხელახალი კენჭისყრა

## მოსამართლეთა XXVI რიგგარეშე კონფერენცია

## გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენის აღრიცხვისა და ახალი ბიულეტენის გაცემის

## ოქმი №......., 5 ოქტომბერი, 2019 წელი

საქართველოს მოსამართლეთა XXVI რიგგარეშე კონფერენციაზე მოსამართლე (გვარი, სახელი) ---------------------------------------------------------------------------- გაუფუჭდა საარჩევნო ბიულეტენი, რომელიც განკუთვნილი იყო ------------------------------------ ---------------------------------------------------------------------------------------------------- ------------არჩევნებისათვის, რაც ეცნობა ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარეს. გაფუჭებული ბიულეტენის ნაცვლად გაიცა ახალი ბიულეტენი. აღნიშნული დასტურდება ხმის დამთვლელი კომისიის წევრთა არანაკლებ 2/3-ისა და მოსამართლის ხელმოწერით.

- ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე -------------------------
- ხმის დამთვლელი კომისიის მდივანი -------------------------
- ხმის დამთვლელი კომისიის წევრი -------------------------
- ხმის დამთვლელი კომისიის წევრი -------------------------
- ხმის დამთვლელი კომისიის წევრი -----------------------

მოსამართლე -----------------------------------------------

შედგენის დრო: __საათი__ წუთი

დანართი №18

## ხელახალი არჩევნები

2019 წელი

### საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის .... წევრის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი N---

5 ოქტომბერი, 2019 წელი

1. დაბეჭდილი ბიულეტენების რაოდენობა ⎵ ⎵ ⎵
2. გაცემული ბიულეტენების რაოდენობა ⎵ ⎵ ⎵
3. დარჩენილი/გამოუყენებელი ბიულეტენების რაოდენობა ⎵ ⎵ ⎵
4. საარჩევნო ყუთში არსებული ბიულეტენების რაოდენობა ⎵ ⎵ ⎵
5. ბათილი ბიულეტენების რაოდენობა ⎵ ⎵ ⎵
6. ნამდვილი ბიულეტენების რაოდენობა ⎵ ⎵ ⎵

**ხმათა რაოდენობა**

1. გვარი, სახელი ⎵ ⎵ ⎵
2. გვარი, სახელი ⎵ ⎵ ⎵
3. გვარი, სახელი ⎵ ⎵ ⎵
4. გვარი, სახელი ⎵ ⎵ ⎵
5. გვარი, სახელი ⎵ ⎵ ⎵

- ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე -------------------------
- ხმის დამთვლელი კომისიის მდივანი -------------------------
- ხმის დამთვლელი კომისიის წევრი -------------------------
- ხმის დამთვლელი კომისიის წევრი -------------------------
- ხმის დამთვლელი კომისიის წევრი -------------------------

შედგენის დრო: __საათი__ წუთი

დანართი №19

# ხელახალი არჩევნები

## საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი N---

5 ოქტომბერი, 2019 წელი

1. დაბეჭდილი ბიულეტენების რაოდენობა __ __ __
2. გაცემული ბიულეტენების რაოდენობა __ __ __
3. დარჩენილი/გამოუყენებელი ბიულეტენების რაოდენობა __ __ __
4. საარჩევნო ყუთში არსებული ბიულეტენების რაოდენობა __ __ __
5. ბათილი ბიულეტენების რაოდენობა __ __ __
6. ნამდვილი ბიულეტენების რაოდენობა __ __ __

**ხმათა რაოდენობა**

1. გვარი, სახელი __ __ __
2. გვარი, სახელი __ __ __
3. გვარი, სახელი __ __ __
4. გვარი, სახელი __ __ __
5. გვარი, სახელი __ __ __

- ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე --------------------------
- ხმის დამთვლელი კომისიის მდივანი ---------------------------
- ხმის დამთვლელი კომისიის წევრი --------------------------
- ხმის დამთვლელი კომისიის წევრი --------------------------
- ხმის დამთვლელი კომისიის წევრი ------------------------

შედგენის დრო: __საათი__ წუთი

დანართი № 20

# ხელახალი არჩევნები

## საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის ... წევრის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი N---

5 ოქტომბერი, 2019 წელი

1. დაბეჭდილი ბიულეტენების რაოდენობა ␣␣␣
2. გაცემული ბიულეტენების რაოდენობა ␣␣␣
3. დარჩენილი/გამოუყენებელი ბიულეტენების რაოდენობა ␣␣␣
4. საარჩევნო ყუთში არსებული ბიულეტენების რაოდენობა ␣␣␣
5. ბათილი ბიულეტენების რაოდენობა ␣␣␣
6. ნამდვილი ბიულეტენების რაოდენობა ␣␣␣

**ხმათა რაოდენობა**

1. გვარი, სახელი ␣␣␣
2. გვარი, სახელი ␣␣␣
3. გვარი, სახელი ␣␣␣
4. გვარი, სახელი ␣␣␣
5. გვარი, სახელი ␣␣␣

- ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე -------------------------
- ხმის დამთვლელი კომისიის მდივანი --------------------------
- ხმის დამთვლელი კომისიის წევრი -------------------------
- ხმის დამთვლელი კომისიის წევრი -------------------------
- ხმის დამთვლელი კომისიის წევრი -----------------------

შედგენის დრო: __საათი__ წუთი

# საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №11

ქ. თბილისი „2“ „ოქტომბერი“ 2019 წ.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის 23-ე, 25-ე და 26-ე მუხლების შესაბამისად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციულმა კომიტეტმა, ერთხმად

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

ცვლილება შევიდეს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის 2019 წლის 25 სექტემბრის №7 დადგენილებაში და საქართველოს მოსამართლეთა XXVI რიგგარეშე კონფერენციისა და ადმინისტრაციული კომიტეტის სამდივნო განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით:

1. სალომე ბოლქვაძე;
2. რუსუდან ტატუაშვილი
3. გიორგი მოდებაძე;
4. მერაბ ბულაშვილი;
5. აკაკი ღურწკაია;
6. ლიანა ბაკურაძე;
7. თამარ წიქარიშვილი;
8. ლელა ჭანია;
9. თორნიკე ქოჩქიანი;
10. სალომე მემარნიშვილი;
11. ქრისტინე კოპალიანი;
12. ეკატერინე ელიაძე;
13. ვალენტინა კიკნაძე;
14. ნინო გალუსტაშვილი.

თეა ძიმისტარაშვილი

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის
ადმინისტრაციული კომიტეტის
საგანგებოდ უფლებამოსილი წევრი